ოქმი:**ო135. 13524305001**

თარიღი:**31/10/2024**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-11

დ. მესტია 30.10. 2024წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, გ. გიგლემიანი,დ. ჯაფარიძე, ვ. ჭკადუა, ზ. ხარძიანი, ზ. ფალიანი, თ. დადეშქელიანი, ი. რატიანი, ლ. პაკელიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, მ. ხორგუანი, შ. რატიანი, ლ. ქალდანი. შ. გულედანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი. მ. გოშუანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u>

<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u> ა. რატიანი. ბ. ნაკანი, ბ. კვიციანი, გ. გელოვანი, გ. დადვანი, დ. გვიჩიანი, ზ. ჯაფარიძე, ვ, ფილფანი. ი. გირგვლიანი, შ. ცინდელიანი, მ.რატიანი, მ .გელოვანი.

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობის უფროსი ი. მიქიანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის მთავარი სპეციალისტი ა. უმფრიანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი ვ. გულედანი.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, სხდომას ესწრება საკრებულოს 33 წევრიდან 19 წევრი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და

შეღავათების დადგენის შესახებ“.

/მომხსენებელი: ი.მიქიანი; თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

2. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მე- III- კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.

/მომხსენებელი: ს. კვიციანი; თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

3. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (შენობის) ს/კ: 42.06.40.069-ზე არსებული 42.32 კვ.მ ფართის სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის"უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

/მომხსენებელი: ვ.გულედანი; თანამომხსენებელი: ზ.ფალიანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------19

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № g-135. 135242503 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ი. მიქიანი ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“.

მომხსენებელმა გააცნო დამსწრე საზოგადოებას მესტიის მუნიციპალიტეტის საზღვრებში ავტობუსით მგზავრობის ტარიფი და შეღავათები; ტარიფები განისაზღვრა მესტიის ცენტრიდან დაშორების მიხედვით. ისაუბრა დადგენილ შეღავათიან ტარიფებზე, გადახდის პირობებზე. შეღავათით ისარგებლებენ შშმ პირები და ბავშვები რომლებიც დაკავებული არიან სხვადასხვა წრეებით. ისაუბრა გადახდის ფორმებზე, გადახდა მოხდება ბარათებით, მუნიციპალიტეტის მერია ხელშეკრულებას გააფორმებს ბანკთან, რომელიც დაამზადებს ბარათებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ლ. ჩხვიმიანი-იკითხა განრიგის და საფასურის განსაზღვრის შესახებ.

ი. მიქიანი--სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა კილომეტრაჟი, დრო, რის საფუძველზეც დადგინდა ავტობუსის მოძრაობის გრაფიკი.

ზ. ჩართოლანი--დადგენილების პროექტში ჩაემატოს და შეღავათიან მომსახურეობაში ვეტერანებმაც ისარგებლონ.

მ. ჯაფარიძე-- აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომაზე მტკიცდება ტარიფები, მუშაობის პერიოდში ნელ-ნელა გამოვლინდება ხარვეზები და მოერგება მოსახლეობის კომფორტულად გადაადგილებას მუნიციპალიტეტის საზღვრებში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“.

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება № 15 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ა. უმფრიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მე- III- კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.

მომხსენებელმა ისაუბრა ბიუჯეტის გეგმასა და შესრულებაზე, 2024 წლის ბიუჯეტის III -კვარტლის გეგმის მთლიანი სალდოს მაჩვენებელია -1 695.4 ათასი ლარი, ფაქტიური მაჩვენებელი - 129.9 ათასი ლარი. III კვარტლიდან IV კვარტალში გარდამავალი ნაშთი შეადგენს 1 588 ათას ლარს. განიხილა შემოსულობები მუხლობრივად. ანგარიში ოქმს თან ახლავს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანმა- კომისიამ განიხილა საკითხი, 1.მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ. შემოსულობები - გეგმა 27 779.7 ათას ლარი, ფაქტი ხაზინის მონაცემებით 24 098.7 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 86 %-ით. v გადასახდელები -გეგმა 29 704 ათასი ლარი, ფაქტი ხაზინის მონაცემებით - 24 435 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 82 %-ით. v2023 წლიდან გადმოსული ნაშთის III-კვარტლის გეგმა ნაზარდი ჯამით - 1 924.3 ათასი ლარი. წარმოდგენილი მონაცემები, ცდომილება გეგმასა და შესრულებას შორის შესაბამისობაშია საბიუჯეტო ნორმებთან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მე- III- კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № გ-135. 135243040 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. ჯაფარიძემ ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (შენობის) ს/კ: 42.06.40.069-ზე არსებული 42.32 კვ.მ ფართის სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის"უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის

თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნოტარიატის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რომ ყველა მუნიციპალიტეტში სანოტარო მომსახურება იყოს სათანადოდ ხელმისაწვდომი, რათა ადგილობრივი მოსახლეობისთვის არ შეფერხდეს მომსახურების მიღება. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ითხოვს მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან, გარკვეული ფართი (არანაკლები 30 კვ.მ.) უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადასცეთ სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატას" უვადოდ, მასში სანოტარო ბიუროს განთავსების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ფალიანი-- კომისიამ განიხილა და აღნიშნა რომ საჭიროებს სსიპ ნოტარიუსთა პალატისთვის განკუთვნილი ფართის გადაცემა, სანოტარო მომსახურეობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (შენობის) ს/კ: 42.06.40.069-ზე არსებული 42.32 კვ.მ ფართის სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის"უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № გ-135. 135243041 თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი